GV CAPITAL / 2026

ბრენდის სახელმძღვანელო.

იდენტობა. გამოყენება.
მასალების სრული კოლექცია.

ბრენდი სრულად, ერთ გზამკვლევში.

იდენტობა, მაგალითები და მასალები. სასურველ თავზე გადასასვლელად დააჭირეთ მის სათაურს.

01 ბრენდის საფუძვლები 04

02 ლოგო 10

03 ფერები 15

04 ტიპოგრაფია 17

05 გრაფიკული ენა 20

06 ციფრული და სოციალური 24

07 ბრენდი გარემოში 27

08 საქმიანი მასალები 33

09 პროექტები 40

10 ყოველდღიური იდენტობა 43

11 რესურსები 47

მზად ყოველდღიური გამოყენებისთვის.

ასევე ლოგოები, საქმიანი დოკუმენტები, ნიშნები, ფორმა, ბეიჯები და სამი პროექტის ბროშურა.

12
სიმბოლო მარტივი ნავიგაციისთვის

3
Space Field-ის კომპოზიცია

6
სოციალური მედიის დიზაინი

10
პრეზენტაციის ლეიაუთი

3
ვებგვერდის შაბლონი

24
სლაიდი პროექტების პრეზენტაციაში

სივრცე პროექტებისთვის, პარტნიორობისა და ზრდისთვის.

GV Capital არის საინვესტიციო და დეველოპერული ჰოლდინგი. ჩვენი საქმიანობა საქართველოში ინდუსტრიული და ლოგისტიკური სივრცეებით იწყება.

ინვესტიციებისა და დეველოპმენტის გაერთიანებით შევქმნათ მყარი ფიზიკური ინფრასტრუქტურა ბიზნესის უწყვეტი ზრდისთვის.



ბრენდის გაცნობა ↗

გრძელვადიანი ურთიერთობა.

ჩვენი ღირებულებები და დაპირება.

01

სანდოობა

ვასრულებთ იმას, რაზეც ვთანხმდებით. პასუხისმგებლობა პირველივე ეტაპიდან.

02

პარტნიორობა

ჩვენი როლი ობიექტის გადაცემით არ სრულდება. ვქმნით ურთიერთობებს, რომლებიც კონკრეტულ პროექტებს სცდება.

03

გრძელვადიანი ღირებულება

ვაპროექტებთ და ვაშენებთ ათწლეულების პერსპექტივით.

ვქმნით სივრცეს, რომელიც დროს უძლებს.

ვისთან ვთანამშრომლობთ.

მკაფიო აუდიტორიები. კონკრეტული შეთავაზება.

ინვესტორები

ვისაც სჭირდება მასშტაბი, კაპიტალის დაცულობა და პროგნოზირებადი უკუგება.

სტრატეგიული პარტნიორები

დეველოპერები, ფინანსური ინსტიტუტები, საინჟინრო და საოპერაციო სექტორი.

ბიზნესი და ოპერატორები

კომპანიები, რომელთაც საკუთარი საწარმოო, სასაწყობე თუ ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა სჭირდებათ.

სრული ციკლი (End-to-End)

ინვესტიცია, დეველოპმენტი და მშენებლობა ერთი ჰოლდინგის ქვეშ. ერთიანი ლოგიკა კაპიტალის მობილიზებიდან ობიექტის ჩაბარებამდე.

აქტივის საკუთრება (Asset Ownership)

იჯარის ალტერნატივა. ბიზნესი იძენს საკუთარ კაპიტალურ აქტივს და ზრდის კომპანიის საბალანსო ღირებულებას.

ადაპტირებადი მასშტაბი

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა: ცალკეული ავტონომიური მოდულიდან მსხვილ ინდუსტრიულ პარკამდე.

ერთი სახელი. მკაფიო სტრუქტურა.

Georgian Ventures.

ნებისმიერ ენაზე ყოველთვის გამოიყენეთ ლათინური შრიფტი. მიმდინარე ტექსტში დაუშვებელია:

ჩვეულებრივ ტექსტში გამოიყენეთ GV Capital. დამტკიცებული ლოგო უცვლელი რჩება.

Industrial & Logistics ჰოლდინგის საწყისი მიმართულებაა და არა მისი განვითარების ზღვარი.

ჰოლდინგი	GV Capital
ბიზნეს მიმართულება	Industrial & Logistics
პროექტი	ლილო · ფონიჭალა · თელეთი

პირდაპირი. მშვიდი. საქმიანი.

ბრენდის იდეას, მთავარ სლოგანსა და დასკვნით ხელმოწერას თავისი დანიშნულება აქვს.

ბრენდის დებულება

GV Capital ქმნის სივრცეს.

სლოგანი

სივრცე, რომელიც ქმნის შესაძლებლობებს.

კომბინირებული ფორმა

GV Capital. სივრცე, რომელიც ქმნის შესაძლებლობებს.



ყოველ სიტყვას თავისი მიზანი აქვს.

გასაგები ტექსტი ყურადღებას იპყრობს. ფაქტები მას სანდოობას მატებს.

01

წერეთ მოკლედ.

ერთი წინადადება. ერთი აზრი.

02

იყავით კონკრეტული.

ფაქტებმა თავად თქვან სათქმელი.

03

იყავით სასარგებლო.

მიეცით მკაფიო შემდეგი ნაბიჯი.

რას არ ვიყენებთ

ლიდერობაზე დაუდასტურებელი განცხადებები, გადაუმოწმებელი რიცხვები და უსაფუძვლო დაპირებები.

ერთი ნიშანი. უცვლელი ფორმა.

ბრენდის ფერი ღია ფონზე. თეთრი ან მეტალი მუქ ფონზე.

GV EMERALD



WHITE / GV EMERALD



WHITE / MIDNIGHT



მცირე ფორმატი. მკაფიო იდენტობა.

კომპაქტური ნიშანი

GV-ს კომპაქტური ნიშანი Favicon-ისთვის და მცირე ფორმატებისთვის.

სადაც სივრცე იძლევა საშუალებას, გამოიყენეთ სრული ლოგო. კომპაქტური ნიშნის პროპორციები უცვლელი დატოვეთ.



კომპაქტური ნიშნის ჩამოტვირთვა ↗

დაუტოვეთ ლოგოს სივრცე.



ლოგოს ირგვლივ დატოვეთ მინიმუმ X მანძილი.

X უდრის CAPITAL-ში ერთი დიდი ასოს სიმაღლეს.

ტექსტი, სხვა გამოსახულებები და გვერდის კიდე ამ სივრცის მიღმა უნდა დარჩეს.

შეინარჩუნეთ მკაფიოობა.

ეს საწყისი ზომაა. ტირაჟამდე შეამოწმეთ დაბეჭდილი ნიმუში.

30 mm

ბეჭდვა

სრული ლოგოს მინიმალური სიგანე.

160 px

ციფრული

მინიმალური სიგანე ეკრანზე.



დაიცავით ორიგინალი.



შეინარჩუნეთ ფორმა

არ დაატრიალოთ, არ გაწელოთ და არ შეკუმშოთ ლოგო.



შეინარჩუნეთ ფერი

გამოიყენეთ მხოლოდ დამტკიცებული ფერები. გრადიენტების, ჩრდილებისა და ფერების დაყოფის გარეშე.



გამოიყენეთ ორიგინალი

არასდროს აკრიფოთ CAPITAL თავიდან. გამოიყენეთ სრული ორიგინალი ლოგო ყველგან, სადაც ფორმატი იძლევა საშუალებას.



დაიცავით კონტრასტი

უზრუნველყავით მაღალი კონტრასტი: ბრენდის ფერი ღია ფონზე, თეთრი მუქ ფონზე.



ეფექტების გარეშე

არ დაადოთ ჩრდილები, 3D ეფექტები, კონტურები (stroke) ან ანარეკლები.



დატოვეთ დამოუკიდებლად

არ მოათავსოთ ლოგო ნიშნულში, ღილაკში ან ჩარჩოში.

ბრენდის პალიტრა.

GV Emerald ძირითადი ფერია. Signal Orange გამოიყენება მხოლოდ მცირე აქცენტებისთვის.

მთავარი

GV Emerald

#0A6670
RGB 10 102 112
CMYK 91 9 0 56

ნათელი

Cool Mist

#E4EEF0
RGB 228 238 240
CMYK 5 1 0 6

მუქი

Midnight

#16232A
RGB 22 35 42
CMYK 48 17 0 84

აქცენტი · ≤5%

Signal Orange

#FF5804
RGB 255 88 4
CMYK 0 65 98 0

ფერი დანიშნულებით.



რეკომენდებული ბალანსი

ნათელი ფონები, მუქი ტექსტი და გამოკვეთილი Emerald. თანაფარდობა ორიენტირია და არა ყველა გვერდის სავალდებულო წესი.

მცირე აქცენტი

ნარინჯისფერი გამოყოფს მოქმედებას, ხაზს, რიცხვს ან ნიშანს. ის ძირითად იდენტობას არ ანაცვლებს.

ერთიანი მასალები

ციფრული: #0A6670. ბეჭდვა: CMYK 91/9/0/56, Pantone 7715 C/U. არქიტექტურა: RAL 5021. ფერი შეამოწმეთ საბოლოო მასალის ნიმუშზე.

ერთი შრიფტის ოჯახი. ორი როლი.

ქართული სათაურებისთვის გამოიყენეთ Bold. დაიცავით დამტკიცებული ასოების ფორმა და არსებული წონები.

HEADINGS

Aktiv Grotesk Extended

Aa 01

ლათინური სათაურები და მთავარი გზავნილები.

BODY / GEORGIAN

Aktiv Grotesk

აბგ 01

Aktiv Grotesk ტექსტისთვის. Aktiv Grotesk Georgian ქართული ტექსტისა და სათაურებისთვის.

კითხვის მკაფიო თანმიმდევრობა.

12 PX	წინსათაური	100%
72 PX	სათაური	100%
42 PX	ქვესათაური	110%
20 PX	სივრცე პროექტებისა და გრძელვადიანი ზრდისთვის.	120%

მასშტაბი ქმნის იერარქიას.

დაიწყეთ ერთი მთავარი იდეით. სათაურს დაუტოვეთ სივრცე, შემდეგ დაამატეთ ქვესათაური და დეტალები უფრო მშვიდად წარმოაჩინეთ.

მითითებული ზომები მაგალითის ლეიაუთს აღწერს და ყველა ფორმატის სავალდებულო ზომები არ არის.

ტიპოგრაფია პრაქტიკაში.

როლი	შრიფტი	საორიენტაციო ზომა	დანიშნულება
მთავარი სათაური	Aktiv Grotesk Extended · Medium	64–128 px / 0.99	ყდები და მთავარი გზავნილები
თავის სათაური	Aktiv Grotesk Extended · Bold	24–30 px / 1.25	თავებისა და სლაიდების სათაურები
ქვესათაური	Aktiv Grotesk Extended · Bold	15–18 px / 1.35	დამხმარე სათაურები
ტექსტი	Aktiv Grotesk · Regular	12.5–14 px / 1.60	აბზაცები და დოკუმენტები
აღნიშვნები	Aktiv Grotesk · Medium	10–11 px / 1.40	წარწერები და ნავიგაცია

ქართულისთვის გამოიყენეთ Aktiv Grotesk Georgian, წონებით 400, 500 და 700. ხელოვნურად ნუ გაამუქებთ შრიფტს.

EDGE / მკაფიო კიდე.

გამოკვეთილი მიმართულების კომპოზიცია განიერი ფორმატებისთვის.



სამი ფიქსირებული ვერსია

EDGE. SIGNATURE. WINDOW. გამოიყენეთ მოცემული განლაგებები უცვლელად.

ყოველთვის სლოგანთან ერთად

გრაფიკული ელემენტი და ტექსტი „SPACE THAT CREATES OPPORTUNITIES“ ერთიანი აქტივია, გამოიყენეთ ერთად.

მასშტაბი პროპორციულად შეცვალეთ

არ ჩამოჭრათ, გადააფერადოთ ან გადააწყოთ. თუ სლოგანი წასაკითხად მეტისმეტად პატარაა, გამოიყენეთ მხოლოდ ლოგო.

SIGNATURE / დასკვნითი კომპოზიცია.

ბრენდის ხელმოწერა დასკვნითი გვერდებისა და კომუნიკაციისთვის.



სამი ფიქსირებული ვერსია

EDGE. SIGNATURE. WINDOW. გამოიყენეთ მოცემული განლაგებები უცვლელად.

ყოველთვის სლოგანთან ერთად

გრაფიკული ელემენტი და ტექსტი „SPACE THAT CREATES OPPORTUNITIES“ ერთიანი აქტივია, გამოიყენეთ ერთად.

მასშტაბი პროპორციულად შეცვალეთ

არ ჩამოჭრათ, გადააფერადოთ ან გადააწყოთ. თუ სლოგანი წასაკითხად მეტისმეტად პატარაა, გამოიყენეთ მხოლოდ ლოგო.

WINDOW / სივრცე შესაძლებლობებისთვის.

ღია არქიტექტურული ჩარჩო ერთიან გრაფიკულ სისტემაში.



სამი ფიქსირებული ვერსია

EDGE. SIGNATURE. WINDOW. გამოიყენეთ მოცემული განლაგებები უცვლელად.

ყოველთვის სლოგანთან ერთად


გრაფიკული ელემენტი და ტექსტი „SPACE THAT CREATES OPPORTUNITIES“ ერთიანი აქტივია, გამოიყენეთ ერთად.

მასშტაბი პროპორციულად შეცვალეთ

არ ჩამოჭრათ, გადააფერადოთ ან გადააწყოთ. თუ სლოგანი წასაკითხად მეტისმეტად პატარაა, გამოიყენეთ მხოლოდ ლოგო.

12 სიმბოლო. გასაგები მიმართულებები.

Material Icons Round. ერთი თანმიმდევრული ბიბლიოთეკა.



შეინარჩუნეთ ფორმა

გამოიყენეთ მოცემული შევსებული სიმბოლო. კონტურების, ზოლებისა და დეკორატიული ჭრების გარეშე.

გზავნილი მთავარია

აიქონს ყოველთვის დაურთეთ მკაფიო წარწერა. დანიშნულების ადგილი და მიმართულება ადვილად წასაკითხი უნდა იყოს.

ბრენდი ზომიერად

გამოიყენეთ მხოლოდ ბრენდის ფერები და ტიპოგრაფია. ოთახის ნომრებსა და საპირფარეშოს მანიშნებლებზე ლოგოს დატანა საჭირო არ არის.

სამი გვერდი. ერთი ციფრული იდენტობა.

მარტივი ნავიგაცია, დიდი ფოტოები და ერთიანი ტიპოგრაფია.



ვებგვერდის მზა საფუძველი.


მთავარი გვერდი, პროექტის გვერდი და სიახლის შაბლონი. ერთიანი ბრენდის ენა ყველა ეკრანზე.

ვებგვერდის ნახვა ↗


3 შაბლონის ჩამოტვირთვა ↗

ექვსი საკომუნიკაციო დიზაინი.

01-03 / მზა დიზაინები სოციალური მედიისთვის. ვერტიკალური ფორმატი, 1080 × 1350.



01 / შესაძლებლობები



02 / პერსპექტივა



03 / გრძელვადიანი ხედვა

ერთი ამოსაცნობი კამპანია.

04-06 / ფოტო, ტიპოგრაფია და ბრენდის ფერი ერთიან ვიზუალურ სისტემაში.



04 / კავშირი



05 / მიმართულება



06 / კონცენტრაცია

ბრენდი, როგორც გარემოს ნაწილი.

იდენტობა არქიტექტურაში,
შესასვლელებსა და სამუშაო სივრცეში.



გამოკვეთილი პირველი შთაბეჭდილება.

ოფისის მისაღები, ლოგო კედელზე და მინის ტიხრები. ბრენდის ფერი თავად გარემოშია ინტეგრირებული.





გასაგები გზა სივრცეში.


საინფორმაციო და მიმართულების ნიშნები ბრენდს ყოველდღიურ დანიშნულებას აძლევს.





ხუთი ნიშანი. ერთი სისტემა.

სართულის გზამკვლევი, მიმართულება, ოთახი, საპირფარეშო და პარკინგი.



სართულის გზამკვლევი · 480 × 1800 მმ



დაკიდებული ნიშანი · 1500 × 280 მმ



ოთახი · 300 × 300 მმ



საპირფარეშო · 260 × 320 მმ



პარკინგი · 240 × 1400 მმ

ნიშნების ნაკრების ჩამოტვირთვა ↗

შესამჩნევი პირველივე შეხედვისას.

ფასადის აბრა და დროშები იმავე იდენტობას გარე სივრცეში აგრძელებს.



თეთრი ან მეტალის ლოგო მუქ ფასადზე.



დროშები Emerald, White და Midnight ფერებში.

დროშების ჩამოტვირთვა ↗

ბრენდი მოძრაობაში.



ტრანსპორტის ბრენდირება

ლოგოს მკაფიო განთავსება და ერთიანი ფერები ტრანსპორტის წინა, გვერდით და უკანა ხედებზე.

ტრანსპორტის ლეიაუთების ნახვა ↗

საოპერაციო მასალების ჩამოტვირთვა ↗

პირადი წარდგენა.

მცირე, ერთიანი ფორმატი ყოველდღიური გაცნობისთვის.

სავიზიტო ბარათები

ორმხრივი სავიზიტო ბარათი. ბრენდის მკაფიო მხარე და მოწესრიგებული საკონტაქტო ინფორმაცია.

90 × 50 მმ

სავიზიტო ბარათის ფაილები ↗



ერთიანი წარდგენა.



კორპორაციული საქაღალდე


Emerald-ის გარე მხარე, თეთრი ლოგო, ნათელი შიდა ნაწილი და ჯიბე A4 დოკუმენტებისთვის.
229 × 320 მმ

საქაღალდის საბეჭდი ფაილი ↗


საქაღალდის ინტერაქციული ნახვა ↗

თქვენი სახელი. ჩვენი ხელმოწერა.

01 / ძირითადი



02 / კომპაქტური



ორი ფორმატი. ერთი იდენტობა.

შექმენით ხელმოწერა თქვენი სახელით, პოზიციით, ელფოსტითა და ტელეფონით. აირჩიეთ ძირითადი ან კომპაქტური ვერსია.


დააკოპირეთ ელფოსტის პარამეტრებში ან ჩამოტვირთეთ გამოსახულების სახით.

ელფოსტის ხელმოწერის შექმნა ↗

ხელმოწერის შაბლონები ↗

დოკუმენტები ერთიანი სტილით.

მზა ფორმატები ყოველდღიური კომუნიკაციისა და პროექტის წარსადგენად.



ბლანკი

A4 ფორმატი ბრენდირებული საქმიანი მიმოწერისთვის.

Word ფაილის ჩამოტვირთვა ↗



პროექტის შეთავაზება

5 გვერდი ამოცანის, სამუშაო გეგმის, კომერციული პირობებისა და შეთანხმებისთვის.

Word ფაილის ჩამოტვირთვა ↗

10 ლეიაუთი. ადგილი ყველა იდეისთვის.



პრეზენტაციის ლეიაუთების ბიბლიოთეკა

ვიზუალური ლეიაუთები სათაურებით, ფოტოებითა და ცხრილებით. ააწყვეთ პრეზენტაცია ერთიანი სტილით.

10 PowerPoint ლეიაუთის ჩამოტვირთვა ↗

PDF-ის ნახვა ↗

ორი პრეზენტაცია. ორი დანიშნულება.

წარადგინეთ ჰოლდინგი ან დაიწყეთ კონკრეტული საინვესტიციო განხილვა.



კომპანიის პრეზენტაცია

8 სლაიდი GV Capital-ის, მისი მიმართულებებისა და პარტნიორობის მიდგომის შესახებ.

PowerPoint-ის ჩამოტვირთვა ↗



საინვესტიციო პრეზენტაცია

8 სლაიდი პროექტის, საინვესტიციო მოდელის, განხორციელების გეგმისა და რისკებისთვის.

PowerPoint-ის ჩამოტვირთვა ↗


მკაფიო წარდგენა დოკუმენტით.



კომპანიის პროფილი

5 გვერდი ჰოლდინგისა და მისი განვითარების მიმართულებების წარსადგენად.

Word ფაილის ჩამოტვირთვა ↗



საინფორმაციო ბროშურა

4 გვერდი სივრცის ფორმატების, პროექტის მონაცემებისა და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისთვის.

Word ფაილის ჩამოტვირთვა ↗

სამი პროექტი. ერთი ბროშურა.


ორი ცალკე PDF ფორმატი. აირჩიეთ ვერსია მისი გამოყენების მიხედვით.

პროექტების პორტფოლიო

ლილო, ფონიჭალა და თელეთი ერთ ბროშურაში. პროექტების უპირატესობები, ლოკაციები და სივრცის ფორმატები ერთ გამოცემაში.

ცალკე გვერდები / A4 დასაბეჭდად ↗

გაშლილი გვერდები / ეკრანზე სანახავად ↗



24 სლაიდი მომდევნო შეხვედრისთვის.



პროექტების პრეზენტაცია

სამი პროექტი, მათი უპირატესობები და დამხმარე ინფორმაცია შეხვედრებისთვის მომზადებულ პრეზენტაციაში. ქართული / PDF / 24 სლაიდი

პროექტების პრეზენტაციის ნახვა ↗

სივრცე თქვენი ბიზნესისთვის.

სამი ლოკაცია ერთიანი წარდგენითა და პროექტის ინდივიდუალური მასალებით.



ლილო

ლოგისტიკური კომპლექსი

13 750 მ² · 16 დოკი

საერთო ფართობი და სატვირთო დოკები.

ტექნიკური ნახაზები ↗



ფონიჭალა

ლოგისტიკური კომპლექსი

31 406 მ² · 33 დოკი

საერთო ფართობი და სატვირთო დოკები.

ტექნიკური ნახაზები ↗



თელეთი

ინდუსტრიული პარკი გაეცანით პროექტს საერთო ბროშურაში.

ნახვა ბროშურაში ↗

ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი.



ფორმა / თეთრი ქარგვა Emerald-ზე



ჩაფხუტი / ამოსაცნობი იდენტობა ობიექტზე

გუნდის ერთიანი იდენტობა.


ფორმა და სამუშაო აღჭურვილობა იმავე ლოგოს, ფერებსა და განთავსების წესს იყენებს.


ფორმაზე განთავსების ნახვა ↗

გუნდის მასალების ჩამოტვირთვა ↗


ადამიანები პირველ რიგში.


ცალკე ფორმატები თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის. ორივეს აქვს წინა და უკანა მხარე.





თანამშრომლის ბეიჯი





ვიზიტორის ბეიჯი

ორივე მხარის ჩამოტვირთვა ↗

ორივე მხარის ჩამოტვირთვა ↗

ამოსაცნობი იდენტობა დეტალებშიც.



შეფუთვა და ბრენდირებული ლენტი



მასალა, ფერი და დამუშავება

იგივე ყურადღება მცირე მასშტაბზეც.

ლოგო და ბრენდის ფერები ყოველდღიურ ნივთებს საერთო იდენტობასთან აკავშირებს.

შესაფუთი ლენტი / 50 მმ

ლენტის დიზაინის ჩამოტვირთვა ↗

სივრცე. სიცოცხლე. დეტალი.



სივრცე და მასშტაბი

განიერი ხედები, გამოკვეთილი გეომეტრია და სწორი ვერტიკალები.



ცხოვრება მოძრაობაში

სამუშაო სივრცეები, ყოველდღიური მოძრაობა და ადამიანები გარემოში.



მნიშვნელოვანი დეტალები

ფაქტურა, მასალები და ბრენდის ზუსტი დეტალები.

ბუნებრივი სინათლე. დაბალანსებული ფერი. კონტროლირებული კონტრასტი. Emerald გამოიყენება ზედაპირებსა და დეტალებში და არა მთელ ფოტოზე მწვანე ფილტრის სახით.

თქვენი ბრენდის მასალები.

აირჩიეთ ნაკრები. თითოეული ბმული შესაბამის მასალებს ხსნის.

01 ლოგოები და კომპაქტური ნიშანი ↗

სრული ლოგო, კომპაქტური GV და ფავიკონი.

02 კორპორაციული მასალები ↗

ბლანკი, შეთავაზება, სავიზიტო ბარათები, ხელმოწერები და საქაღალდეები.

03 პრეზენტაციების ნაკრები ↗

10 ლეიაუთი, კომპანიის 8-სლაიდიანი და საინვესტიციო 8-სლაიდიანი პრეზენტაცია.

04 კომპანიის პროფილი და ბროშურა ↗

კომპანიის 5-გვერდიანი პროფილი და 4-გვერდიანი საინფორმაციო ბროშურა.

სრული ნაკრების ჩამოტვირთვა ↗

მეტი მასალა გამოსაყენებლად.

სამუშაო ფაილები და ვიზუალური მასალები მათი ყოველდღიური დანიშნულების მიხედვით.

05 გუნდი და საოპერაციო გარემო ↗

თანამშრომლისა და ვიზიტორის ბეიჯები, ფორმა, შეფუთვა და ტრანსპორტის გრაფიკა.

06 ციფრული შაბლონები ↗

3 შაბლონი: მთავარი გვერდი, პროექტი და სიახლე.

07 სივრცის ნავიგაცია ↗

ნიშნების 5 ფორმატი სივრცეების, მიმართულებებისა და პარკინგისთვის.

08 ბრენდის გრაფიკა ↗

Space Field-ის 3 კომპოზიცია, ლეიაუთები და ფერები.

6 სოციალური დიზაინი ↗

ყველა რესურსის ნახვა ↗

გაეცანით სრულ ინტერაქციულ გზამკვლევს.

ამ გზამკვლევის ყველა მასალა, ასევე ვიდეოები, ინტერაქციული მაგალითები, ელფოსტის ხელმოწერის შექმნა და სრული ნაკრები ჩამოსატვირთად.

gv-capital.vercel.app ↗

გახსენით ბმული მასალების სანახავად და ჩამოსატვირთად.

